საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 003991

„22" დეკემბერი 20 25 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ქ. თბილისი, ვ. ნინოშვილის I ჩიხი N1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ენერგო" (ს/ნ 211352454)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,

პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი; იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)

მინისტრის 2020 წლის 4 დეკემბრის N2-1130 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება

(დასკვნა N37; 22.10.2007)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: აქტი N003991

ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი N1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ №0039991 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 4 გვერდი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის შენიშვნის პირველი

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

ნაწილის შესაბამისად

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

უფროსის მოადგილე - მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი ნიკა კოჩკოლაძე

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კოჩკოლაძე

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

იგზავნება ფოსტით

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2025 წლის 22 დეკემბრის №003991 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის №DES02400000185 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მისაქციელში, შპს „ენტო"-ს (ს/კ 211352454) კუთვნილი, მისაქციელის მცირე ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 4 დეკემბრის № 2-1130 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2007 წლის 22 ოქტომბრის № 37 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. 2007 წლის 22 ოქტომბრის № 37 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **პირველი პირობის მე-4 პუნქტის** შესაბამისად გამყვანი არხიდან ამოღებული ნალექის გატანა/განთავსებასთან დაკავშირებით კომპანიას არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება შესაბამის ორგანიზაციასთან (ფიზიკურ ანდა იურიდიულ პირთან);

2. ნიადაგისა და ნამუშევარი წყლის ტურბინის ზეთით დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, არ არის შესრულებული 2007 წლის 22 ოქტომბრის № 37 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მე-2 პირობით დადგენილი შემდეგი ვალდებულებები:**

2.1. კომპანიას ჰესის ქვემო ბიეფში არ აქვს მოწყობილი სპეციალური დამჭერები;

2.2. არ აწარმოებს ტურბინის ზეთის დანაკარგების სისტემატიურ აღრიცხვას;

3. არ არის შესრულებული **გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით განსაზღვრული შემდეგი ვალდებულებები:**

3.1 არ აქვს შემუშავებული და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული ზეთის დაღვრის ავარიული რეაგირების გეგმა;

3.2 ძალოვანი კვანძის ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სახანძრო რეზერვუარი;

3.3 არ არის მოწყობილი ავტომატური სახანძრო სიგნალიზაცია;

3.4 არ არის მოწყობილი სახიფათო ნარჩენების სათავსო;

2025 წლის 22 დეკემბრის №003991 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

3.5 კომპანია არ აწარმოებს ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებას;

3.6 საქმიანობას ახორციელებს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული ჩამდინარე წყლებთან ერთად ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტის გარეშე;

3.7 ხმაურის ფონის გასაზომად არ გააჩნია შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული მონიტორინგის გეგმა;

3.8 არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება შესაბამის უფლებამოსილ (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე) ორგანიზაციასთან (ფიზიკურ ანდა იურიდიულ პირთან) ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების გატანა/განთავსებასთან დაკავშირებით;

შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 21 ნოემბერს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შპს „ენტო"-ს მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №090583 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ, 2024 წლის 18 დეკემბრის №4-ა/911-2024 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლი შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ენტო"-ს მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2025 წლის 22 დეკემბრის №003991 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2025 წლის 22 დეკემბრის №003991 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „ენტო“-ს (ს/კ 211352454) კუთვნილი, მისაქციელის მცირე ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 4 დეკემბრის № 2-1130 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2007 წლის 22 ოქტომბრის № 37 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „ენტო“ ვალდებულია**:

1. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან მუდმივად უზრუნველყოს გამყვანი არხიდან ამოღებული ნალექის მართვა** მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. ამასთან, **ვინაიდან** 2007 წლის 22 ოქტომბრის № 37 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის **დასკვნის პირველი პირობის მე-4 პუნქტის შესაბამისად,** გამყვანი არხიდან ამოღებული ნალექის განთავსება გათვალისწინებულია **ქ. თბილისის გლდანის ნაგავსაყრელზე და დღეს არსებული მდგომარეობით აღნიშნული ნაგავსაყრელი აღარ ფუნქციონირებს,** შპს „ენტო“ ვალდებულია მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** მიმართოს უფლებამოსილ ორგანოს - სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს, გამყვანი არხიდან ამოღებული ნალექის გატანა/განთავსებასთან დაკავშირებით შესაბამის აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის მიზნით;

2. 2007 წლის 22 ოქტომბრის № 37 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მე-2 პირობის შესრულების მიზნით:**

   2.1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ჰესის ქვედა ბიეფში სპეციალური დამჭერების მოწყობა;

   2.2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს** და შემდგომ **სისტემატიურად** უზრუნველყოს ტურბინის ზეთის დანაკარგების აღრიცხვა.

3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ზეთის დაღვრის ავარიული რეაგირების გეგმის შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

2025 წლის 22 დეკემბრის №003991 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში,** ძალოვანი კვანძის ტერიტორიაზე, უზრუნველყოს სახანძრო რეზერვუარის მოწყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

6. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს სახიფათო ნარჩენების სათავსოს მოწყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

7. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს** და შემდგომ **მუდმივად** უზრუნველყოს ნარჩენის სეპარირებული შეგროვება;

8. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს „ჩამდინარე წყლებთან ერთად ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტი"-ს შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა, ხოლო შემდგომ უზრუნველყოს შეთანხმებულ პროექტით დადგენილი/განსაზღვრული პარამეტრებისა და ნორმების დაცვა;

9. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ხმაურის ფონის გასაზომად მონიტორინგის გეგმის შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

10. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების გატანა/განთავსებასთან დაკავშირებით ხელშეკრულების გაფორმება შესაბამის უფლებამოსილ პირთან.